სტამბა და რედაქცია ტფილისი, სასახლის ქ., სათ.-აზნაურო ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ.“ წიგნის-მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
ცალკე ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ ვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція „Цнобисъ Пурцели“
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363.

**დავით ივანეს ძე კეზელი, თავ. იორამ ბეჟანის ძე, ალექსანდრა და კონსტანტინე ხერხეულიძენი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებას მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 27 ენკენისთვეს პირველი—მეუღლისა, მეორე—ქალისა, მესამე და მეოთხე—დისა

## ეკატერინე იორამის ასულ კეზელისას

და სთხოვენ მობრძანდნენ მიცვალებულის დაკრძალვაზე ხუთშაბათს, 1-ლ ღვინობისთვეს დილის 10 საათზე ს. საშაბუროში. (2—1)

გაზეთი „ცნობის ფურცელი“ წლის დამლევამდე

## ღირს 2 მანათი

## კრება დრამატ. საზოგადოებისა

დანიშნული პარასკევს, 25 სექტემბერს, რადგან საკმაო წევრთა დაუსწრებლობით არ შესდგა, ამიტომ იგივე კრება დანიშნულია **კვირას, ოქტომბრის 4-ს**, შუადღის 12 საათზე, სათ.-აზნ. ბანკის დარბაზში.
კრება კანონიერი იქნება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.
კენჭის ჩამოტარების უფლება იმას მიეცემა, ვისაც წელს საწევრო ფული აქვს შემოტანილი.

## მცხეთაში

**ხუთშაბათს, 1-ლ ოქტომბერს** სვეტიცხოვლობის დროს (მცხეთობა)

## „არმაზ-ის“ ბაღში

დილის 10 საათიდან საღამოს 9 საათამდე დაუკრავს **სამხედრო მუსიკა**

ბაღში ავდრისათვის გამართულია მრავალი ფარდულები, ცალკე ოთახები, კარვები და სხვა თავ-შესაფარი.
ბუფეტში იქნება ყოველგვარი სასმელები, საჭმელი ადგილობრივი და ევროპიული.

## ფასი ყველაფერზე ზომიერია

(3—1) ბაღის პატრონი ე. ჩხარტიშვილი

შპალერების საწყობი

## ი. გ. მელიქიშვილისა

ტფილისი, სასახლის ქ. სათავ.-აზნ. სახლი № 102

ყოველთვის იშოვება მრავალი ხარისხის შპალერი
ფასი ყველაფერზე იაფია
შპალერი თვითო ნაჭერი 8 კაპ. მოყოლებული 20 მანათამდე
ოთახ-დარბაზების მოსართავი და გასაწყობი სამკაულები.

**Депо обоевъ**

## І. Г. МЕЛИКОВА

Тифлисъ, Дворцовая ул., д. Грузинскаго Дворянства (бывш. Арцруни) № 102, около муз. магаз. ЛАНКО. (100 54)

## წიგნის მაღაზია

### მიხეილ გაჩეჩილაძისა

(იგივე „**გლეხის**“ ამხანაგობისა)

ვაუწყებთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ ჩვენ გავხსენით **დ. ყვირილაში**, ჩუბინიძის სახლში
წიგნებისა და საკანცელარიო ნივთეულობის მაღაზია
მაღაზიაში გვაქვს ყოველგვარი ქართული გამოცემანი და სახელმძღვანელოები. ვკისრულობთ აგრეთვე სხვა-და-სხვა წიგნების გამოწერას. ვიღებთ წიგნებს საკომისიოდ გასაყიდათ და აგრეთვე ვაძლევთ ჩვენც ჩვენს გამოცემებს.
მაღაზიასთან გახსნილი გვაქვს **წიგნების საკაზმავი სახელოსნო**, სადაც მზადდება წიგნები სუფთად, იაფად და სწრაფად.
სოფლის მასწავლებლებს სახელმძღვანელო წიგნები, რვეულები და სხ. დაეთმობათ ძლიერ დაკლებულ ფასად.
მსურველს შეუძლიანთ მიმართონ შემდეგის ადრესით:
Квирилы. Книжный магазинъ М. Гачечиладзе. (15—10)

**ქუთაისი**
ქალაქის თეატრში
**შაბათს, 10 ოქტომბერს 1898 წ.**
ყოვლად-სამღვდელო გაბრიელის იაფ-ფასიან წიგნთ-საცავის სასარგებლოდ
გამართული იქნება:
I
პირველი მოქმედება ოპერისა

## ნორმა

II
ორი უკანასკნელი მოქმედება ოპერის

## ტრავიატა

უმთავრეს როლებს შეასრულებენ ქ-ნი მნელაძისა და ტენორი ბ-ნი **კოვალენსკი**

## ექიმი

### კ. ი. გძელიშვილი

მიიღებს
ყელისა, ცხვირისა და ყურით ავადმყოფებს.
დილ. 9—11 ს. საღამოზე 5—7 ს.
მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკლესიის პირდაპირ.
Докторъ **К. И. Гдзелишвили.**
Михайловская, противъ кирки. (100—46)

## მხატვარი

### გ. გაბაშვილი

**გაკვეთილებს აძლევს** კავკასიის სამხატვრო საზოგადოების დარბაზში, გრიბოედოვის ქ. № 5. მსურველთ ადრევე უნდა ჩაეწერნენ. (10—7)

**სტუდენტად** ყოფილი ეძებს **გაკვეთილებს**
ადრესი: „ცნ. ფურცლის“ რედაქცია. (10—7)

დოქტორი მედიცინისა და ქირურგი

## ბენკლევსკი

ავადმყოფებს ღებულობს დილის 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.
გრიბოედოვის ქუჩა, არშაკუნისეული სახლი № 30.
**Докторъ медицины и хирургъ**
**БЕНКЛЕВСКІЙ**
Грибоѣдовская № 30, д. бывш Аршакуни. (წ.)

სამკურნალო და ამბულატორია

## ს. გ. თოფურიასი

ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11-საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. გ. თოფურია**. საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. კ. ბერრატი**.

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოზანი.**

20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r **ფ. ბაცევიჩი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. კ. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტია საექიმო და საბაქტეროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საჟისთვის.

სამკურნალო დირექტორი **ს. ბ. თოფურია.**

***Лѣчебница С. В. Топурія*** въ Кутаисѣ

# ახალი ამბავი

*** **ქუთაისის თავად-აზნაურთა დეპუტაცია დიდი მთავრის წინაშე.** 25 სექტემბერს- მისი უმაღლესობის ნება-რთვით წარუდგა მის უმაღლესობას, დიდ მთავარს მიხეილ ნიკოლოოზის ძეს ბორჯომში ქუთაისის გუბერნის თავად-აზნაურთა დეპუტაცია: მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის სასახლის კამერგერი გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ. წერეთელი, სამაზრო წინამძღოლნი: ქუთაისისა—თავ. ნიჟარაძე, ოზურგეთისა—დავ. ერისთავი და შორაპნისა—აბაშიძე, სამი საპატიო აზნაურნი: გენერალ-ლეიტენანტი თავ. მიქელაძე, გვარდიის პოლკოვნიკი თავ. აგიაშვილი და სტ. სოვ. ლორთქიფანიძე. დეპუტაციამ სთხოვა ნამესტნიკად ნამყოფს, გვეწვიეთ ქუთაისში და გუბერნიის თავად-აზნაურთაგან სადილი მიირთვითო. მისმა უმაღლესობამ გულითადი მადლობა გადაუხადა დეპუტაციას და ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთ, მაგრამ ქუთაისში წვევაზე უარი სთქვა, დანიის დედოფლის სიკვდილის გამო. ამასთან მისმა უმაღლესობამ შემდეგი სიტყვებით მიმართა დეპუტაციას:

მე უკვე ვაცნობე თქვენს წინამძღოლს ის მიზეზები, რომლების გამო ვერ გეწვევით ქუთაისში, რის საუკეთესო დასამტკიცებელი საბუთი გახლავთ აი ეს. (ამასთან დიდმა მთავარმა უჩვენა სამგლოვიარო ძაძა მკლავზე).

გთხოვთ, ნუ მიიღებთ ამ უარს ჩემი გრძნობების თქვენდამი შეცვლად. მე სავსებით მჯერა, როგორც ყოველთვის, მთელი ქართველი ხალხის გულ-წრფელობა, და ჩემი სიყვარული თქვენდამი არავის არ უნდა ეეჭვებოდეს. გულახდით გეუბნებით ბატონებო, რომ უძლიერესად მესიამოვნა თქვენი ყურადღება ჩემდამი და ვწუხვარ, რომ ამ ჟამად ვერ წამოვალ თქვენთან.

თქვენ შორის არიან ისეთები, რომელნიც ჩემ დროს სულ ბავშვები იყვნენ და რომლებსაც, როგორც ვხედავ, ჩანერგვიათ ის გრძნობები, რომლებითაც მათი მამები იყვნენ ჩემდა მომართ. გთხოვთ გადასცეთ თავად-აზნაურთ ჩემი გულითადი მადლობა, მიგაჩნდეთ მე ყოველთვის თქვენს კეთილის მსურველად და მომმართავდეთ ხოლმე ყოველ ისეთ შემთხვევაში, როცა დაგჭირდებათ ჩემი შემწეობა უმაღლეს მთავრობის წინაშე“!

ამის შეადეგ მისმა უმაღლესობამ მიმართა დეპუტაციის თვითეულ წევრს და გამოჰკითხა მათ მათი ადგილობრივი საჭიროება.

*** **მთავარ-მართებლის დაბრუნება.** კავკასიის მთავარ-მართებელი, გენ.-ად. თავ. გ. ს. გოლიცინი დაბრუნდა განჯიდან გუშინ, 28 სექტემბერს, დილის მატარებლით.

*** **თავ. გ. დ. შერვაშიძის მოსვლა.** 27 სექტემბერს მოვიდა ტფილისში უმაღლესი სასახლის ეგერ-მეისტერი თავ. გ. დ. შერვაშიძე.

*** **წიგნებით ვაჭრობა მცხეთობაზე.** 30 ენკენისთვეს, სვეტიცხოვლობაზე, მცხეთაში მიაქვთ ტფილისიდან „წერა-კითხ. გამავ. საზოგადოების“ წიგნები და აგრეთვე ყველა ჩვენთა გამომცემელთა ძველი და ახალი გამოცემანი. სულ პირველად წაღებულ იქმნა 1873 წ. მაშინ სახალხო წიგნების გამოცემა ახალი საქმე იყო და ამიტომ მაშინ ექვსი აბაზის წვრილი წიგნები გაიყიდა. შემდეგ კი ყოველ წლივ მატულობს გაყიდულ წიგნების რიცხვი.

*** **საჩივარი ფოთის ქალაქის არჩევნებზე.** ერთად ერთი საჩივარი ფოთის ქალაქის არჩევნებზე, რომელიც შეიტანა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორთან ამომრჩეველმა ა. ი. ხოშტარიამ, განიხილა ქუთაისის საქალაქო საქმეთა საგუბერნიო კრებამ 25 სექტემბერს და არ შეიწყნარა. („კავ.“)

*** **ავსტრიის დედოფლის ნეკროლოგი.** ვენის ბეჭდვითი სიტყვის ბიურო „Observer“ აცხადებს, რომ ის ჰკრებს ავსტრიის დედოფლის ნეკროლოგებს ალბომების გამოსაცემად და სთხოვს კავკასიის გამოცემებს, გამოგვიგზავნეთ სამ-სამი ცალი გაზეთის იმ ნომრისა, რომელშიაც დაბეჭდილი იყო ნეკროლოგიო. ბიუროს ადრესი: Vienne (Autriche), IX. Pûrkenstrassé. 17.

*** **სასამართლოს და ერობის საქმე კავკასიაში.** როგორც გაზ. „სინ. ოტ.“-ს გაუგონია, არჩეულ იქნება საგანგებო კომისია კავკასიაში სამოსამართლო ცვლილებისა და ერობის შემოღების საქმის განსახილველად. კომისია მუშაობას დაიწყებს ამ წლის ნოემბრის დამლევიდან.

*** **ფარმაცევტების დასვენება.** იმავე გაზეთს გაუგონია, რომ სამკურნალო დეპარტამენტი ამ მოკლე ხანში წინადადებას მისცემს ეგრედ წოდებულ თავისუფალ აფთეკების პატრონებს, მოაწესრიგეთ მსახურ ფარმაცევტთათვის სამუშაო დროვო.

*** **მღვდლის ბერძნიშვილის აღკვეცა.** 25 სექტემბერს საღამოს მაღალ ყოვლად უსამღვდელოესმა ფლაბიანემ შეასრულა მწუხრი ცისკრითურთ, ტფილისის სასულიერო სემინარიის კარის ეკლესიაში თანამსახურებით სემინარიის რექტორის არხიმანდრიტის ჰერმოგენისა, ინსპექტორის მღვდელ-მონაზონის დიმიტრისა, საკათედრო დეკანოზის მ. ე. ელიევისა, სიონის ტაძრის კანდელაკის მღვდლის ა. თოთიბაძისა, ბლაღოჩინის შოშიაშვილისა და ქ. ტფილისის შავსან და თეთროსან სასულიერო წოდების სხვა წარმომადგენელთა. სემინარიის ეკლესიაში მოგროვდა აუარებელი ხალხი. ღვთის მსახურების დროს შემდეგ „დიდება მაღალთა შინასი“ აღკვეცილ იქმნა ბერად სემინარიის მოძღვარი და ამავე სემინარიასთან არსებულ სამაგალითო სკოლის საღმრთო-სჯულის მასწავლებელი მღვდელი მამა დავით ბერძნიშვილი. „დიდება მაღალთა შინას“ შემდეგ სემინარიის რექტორმა არხიმანდრიტმა ჰერმოგენმა და ამავე სემინარიის ინსპექტორმა მღვდელ-მონაზონმა დიმიტრიმ გამოიყვანეს მამა ბერძნიშვილი რექტორის სადგომიდან და მიიყვანეს ტრაპეზის წინ ამბიონთან, სადაც ბრძანდებოდა მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესი ფლაბიანე, რომელმაც შეასრულა აღკვეცის წეს-რიგი... ისეთის სასოებით, ისეთის გამომეტყველებით და საღმრთო სიმარტივით ჰკითხულობდა მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესი ამ წეს-რიგსა, რომ ბევრ მსმენელს თვალთაგან უნებლიედ ცრემლები სცვიოდა... აღკვეცის ჟამს ტრაპეზში ბრძანდებოდა ყოვლად-უსამღვდელოესი ეპისკოპოსი ალავერდისა კირიონი. ახლად აღკვეცილს ბერად მამა დავითს უწოდა მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესმა სახელად დოსითეოსი.

მღვდელ-მონაზონი დოსითეოსი არის ძე ტფილისის მოქალაქისა, დაიბადა 1851 წელს,—პირველ დაწყებითი განათლება მიიღო ტფილისის სასულიერო სასწავლებელში, რომლის კურსის შესრულების შემდეგ შევიდა სასულიერო სემინარიაში. სემინარიის კურსი მღვდელ-მონაზონმა დოსითეოსმა 1875 წელს დაამთავრა სტუდენტის ხარისხით. სილარიბემ ნება არ მისცა მას გაეგრძელებინა სწავლა უმაღლეს სასწავლებელში. კურსის შესრულების შემდეგ ის განწესებულ იქმნა თელავის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლად. 1877—1880 წლებში ის მსახურობდა საკანტროლო პალატაში მოანგარიშე მოხელედ. 1881 წელს იგი ხელდასხმულ იქმნა მღვდლად საგარეჯოს წმ. იოანნე ნათლიმსცემლის ეკკლესიისა. 1885 წ. მღვდელ-მონაზონი დოსითეოსი განწესებულ იქმნა ექსარხოსის პავლეს მიერ მოძღვრად და იკონომოსად ტფილისის სას. სასწავლებლებლისა, 1889 წ. კი—მოძღვრად ტფილისის სასულიერო სემინარიის და ამავე სემინარიასთან არსებულ სამაგალითო სკოლის საღმრთო სჯულის მასწავლებლად. ამას გარდა ის მსახურებდა ტფილისის ეკკლესიათა ბლაღოჩინის თანაშემწედ. თორმეტ წელიწადს იმსახურა ტფილისის საეპარქიო დედათა სასწავლებლის საბჭოს წევრად უსასყიდლოდ; ხშირადიგი ასრულებდა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობას, ი...იცხებოდა ქართულ დაბადების გამსწორებელ კომიტეტისა, წევრად და საქმის მწარმოებლად წმ. ანდრია პირველწოდებულის ძმობისა, წევრად კავკასიაში მართლმადიდებელ ქრისტიანობის აღმადგინებელ საზოგადოებისა და ნამდვილ წევრად წარსულ წელს ტფილისში დაარსებულ სამისიონერო სასულიერო განმანათლებლობითის ძმობისა. მღვდელ-მონაზონი დოსითესოსი მღვდლობის დროს დაჯილდოვებულ იქმნა ნაბედრენნიკით სკუთიით, კ...ლავკით და მკერდის ჯვრით. იგი ხშირად იღებდა მადლობას სასულიერო მთავრობის მიერ ნამსახურობით სიაში ჩაწერითურთ თვისთა მოვალეობათა ერთგულ და დაუზარებელ შესრულებისათვის. მღვდელ-მონაზონი დოსითეოსი დანიშნულ იქნება წინამძღვრად ქვაბთა-ხევის მიძინების მონასტრისა და, როგორც ამბობენ, ტფილის-ბორჩალოს მაზრის საეკკლესიო სკოლების სამაზრო მეთვალყურედ.

ივ—ძე.

*** **„ჟურნალი მოამბე“ № VIII.** ჩვენ მივიღეთ ჟურნალი „მოამბე“ შემდეგის შინაარსით: I „კორიოლანოს“—ხუთ-მოქმედებიანი ტრაგედია, უილიამ შექსპირისა. თარგმანი თ. ი. მაჩაბლისა, II „საშინელი წამი“,—პოლ-მარგერტისა, თარგმანი ივ. ზურაბიშვილისა, III „ნამდვილი სამსახური“—ი. პოტაპენკოსი, თარგმანი ეფროსინე კლდიაშვილისა, IV ***—ლექსი, შ. მღვიმელისა, V „გლეხი-კაცი!

ისტორია". — ერკმან-შატრიანისა, დასასრული მესამის და დასაწყისი უკანასკნელი ნაწილისა, თარგმანი ი. მაჭავარიანისა, VI „ყალბი შაური"—კლემანს იუნოშისა, თარგმანი ივ. ზურაბიშვილისა, VII „ეტიუდები ქართულის ლიტერატურიდან"—წერილი მეოთხე: თ. ი. ჭავჭავაძე, კიტა აბაშიძისა, VIII „ნოყიერი და გემრიელი ნივთიერებანი"—პროფ. რ. ვირხოვიხა, თარგმანი ს. ენუქიძისა, IX „სამრევლო სკოლები გურია-სამეგრელოს ეპარქიაში"—თ. სახოკიასი, X „ხელმწიფე იმპერატორის ნიკოლოოზ მეორის უმაღლესი რესკრიპტი"—გ. ი. გძელიშვილისა, XI „კრიტიკა და ბიბლიოგრაფია", S—a—სი.

*** **გორი.** † მ. ი. ილურიძე. ხუთშაბათს, 24 ენკენისთვეს, შავმიწას მიაბარეს უდროვოდ გარდაცვალებულის გორის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლის სტატსკი სოვეტნიკის მიხეილ ივანეს ძის ილურიძის გვამი. განსვენებული დაიბადა სოფ. სამთავისში... პირველ დაწყებითი განათლება მან მიიღო გორის სასულიერო სასწავლებელში. 1875 წ. მან კურსი შეასრულა ტფილისის სასულიერო სემინარიაში სტუდენტის ხარისხით. როგორც საუკეთესო მოწაფე, მიხეილ ილურიძე ამავე წელს შევიდა კიევის სასულიერო აკადემიაში სწავლის გასაგრძელებლად. აქ მან სწავლა დაამთავრა 1879 წელს ღვთის მეტყველების კანდიდატის ხარისხით. კანდიდატის ხარისხის მისაღებად მან დასწერა თხზულება საქართველოს საეკკლესიო ისტორიიდამ აღრჩეულს ერთს ფრიად საყურადღებო საკითხზედ, რომელიც შეეხება მეთვრამეტე საუკუნეში კავკასიაში მისსიონერთა მოღვაწეობის ისტორიულ განხილვას... ამ თხზულებაში განხილულია დალაგებით მისიონერთა მოღვაწეობა, საფუძვლიანად დაფასებულია მიზეზები მათის წარმატებისა და მარცხისა... ეს თხზულება ფრიად მოწონებულ იქმნა სასულიერო აკადემიის საბჭოს მიერ. ზოგიერთი ნაწყვეტები ამ თხზულებისა დაბეჭდილ იქმნა რუსულ ენაზე ჟურნალ „Пастырь"-ში. კურსის შესრულების შემდეგ ცხრამეტი წელიწადი განსვენებულმა ილურიძემ საქართველოს სასულიერო წოდების ახალთაობის აღზრდა-განვითარების საქმეს შესწირა... მას ჩვენ ვხედავთ ჯერ მასწავლებლად ტფილისის სასულიერო სასწავლებელში, მერე ზედამხედველად ოზურგეთისა და შემდეგ ქალაქ თელავის სასულიერო სასწავლებლისა. ყველგან განსვენებული თანაუგრძნობდა ყოველსავე კეთილ-შობილურს საქმეს და მისწრაფებას, ყველგან გულ-მხურვალედ თითქმის თავ-დავიწყებამდის, მოღვაწეობდა თვის მოვალეობათა აღსრულებისთვის. თელავში მის დროს აღშენებულ იქმნა მისისავე დახმარებით და ონაწილეობით სასულიერო სასწავლებლის აწ დამწვარი მშვენიერი შენობა, რისთვისაც იგი ექსარხოსის პავლეს მიერ დაჯილდოებულ იქმნა ორდენით. განსვენებულის ხელ-ქვეითი მასწავლებლები დიდი მადლობელნი იყვნენ მისი, უყვარდათ ისე, ვითარცა გვამი თავ-მდაბალი, არა მედიდური, მათთვის მზრუნველი და თავ-დადებული... მოსწავლე ახალთაობას უყვარდა განსვენებული ილურიძე, ვითარცა მშვიდი და მისთვის კეთილ-მოსურნე, ტკბილად დამრიგებელი მშობელი მამა... ერთი სიტყვით განსვენებულმა ილურიძემ ყველგან, სადაც კი მსახურობდა, დასტოვა აღმოუფხვრელი სახელი შვიდობის მოყვარის, მუყაითის, საქმის მიმართ ერთგულის და დაუზარებელის მუშაკისა. რვა წლის წინად განსვენებულმა ილურიძემ თავი დაანება ზედამხედველობას და გადაყვანილ იქმნა გორის სასულიერო სასწავლებელში ანგარიშის და გეოგრაფიის მასწავლებლად. აქ ის ითვლებოდა უფროსს მასწავლებლად. ორსავე საგანს დიდის ხელოვნებით და ცოდნით ასწავლიდა და მისი მოწაფეები ამ საგნებში გამოცდას თითქმის ყოველთვის კარგად იხდიდნენ ტფილისის სასულიერო სემინარიის პირველ კლასში შესასვლელად...

ბევრი ჯაფა ჰქონდა განსვენებულს თავის სიცოცხლეში და ამას გარდა ბოლოს დროს დაიწყო სნეულება კუჭის ავადმყოფობით, რამაც ის გამოასალმა ასე უდროვოდ ორმოცდა ხუთის თუ ექვსის წლისა დაუნდობელს და მუხანათს წუთი-სოფელს. იმისმა უდროვოდ სიკვდილმა უნუგეშოდ, უშემწეოთ დასტოვა მისი მეუღლე და ორი მცირე წლოვანი შვილი. მისის გარდაცვალების ამბავმა თავ-ზარი დასცა ყოველს მის ნაცნობს და უნებლიეთ მწარე ცრემლი დაადრევინა!! განსვენებულის დასაფლავების წესი შეასრულეს მრავალ სამღვდელო პირთა თანადესწრებით ყოვლად-სამღვდელოესმა ლეონიდემ და კირიონმა. უკანასკნელი განსვენებულის ამხანაგი ბრძანდებოდა სასულიერო სემინარიაში და აკადემიაშიაც. მრავალი ხალხი შეგროვდა განსვენებულისთვის უკანასკნელი „მშვიდობის", „ამბორების" მისაცემად. მთელი დამსწრე საზოგადოება მწუხარებით ისე იყო აღელვებული, რომ ჩვეულებრივის სიტყვის წარმოთქმა ვერავინ მოახერხა, მაგრამ ან კი რა საჭირო იყო სიტყვა, როდესაც ყოველი უსიტყვოდაც სტიროდა, უსიტყვოდაც გლოვობდა უდროვოდ მიცვალებულს მასწავლებელს, რომელმაც ცხრამეტ წლოვანის სამასწავლებლო ასპარეზზედ მოღვაწეობის შემდეგ ასე მოულოდნელად ჯანღონით სავსემ სამუდამოდ დახუჭა თვალები... საუკუნოდ იყოს კურთხევა და ხსენება შენი, ძვირფასო დაუვიწყარო, მიხეილ! გულდამწვარნი, უზომოდ დანაღვლიანებულნი შენის უდროვო გარდაცვალების გამო იმით-ღა ვნუგეშობთ, რომ შენ მუხთალი წუთისოფლის გზაზედ სრბოლა ერთგულად დაუღალავად შეასრულე, რომ სიცოცხლის უკანასკნელს წუთამდის არ უღალატე შრომას, მოღვაწეობას და ამათ მიერ დაღლილი გაემგზავრე უკვდავ სულით საუკეთესო ქვეყანას, ზეციერს იერუსალიმს. ვსასოებთ, რომ ღმობიერი ტკბილი იესო შენს სულს დაამკვიდრებს იქ, „სადაც იგი მართალნი მკვიდრ არიან" და არც შენ მიერ ობლად, უნუგეშ-უშემწეოთ დატოვებულს ქვრივ-ობლებს მოაკლებს თვისს ღვთიურს მფარველობას იგი, ვითარცა მამა ქვრივთა და ობოლთა!

ი—ძე

## სხვა-და-სხვა ამბავი

—

უცნაური ამბავი. მეტად უცნაურს და თითქმის დაუჯერებელ ამბავს იუწყება გაზეთ „Свѣтъ"-ის კოვნელი კორესპონდენტი: „ქალაქ კოვნის მცხოვრებნი დიდათ აღელვა და აღაშფოთა თურმე ერთმა არა ჩვეულებრივმა მოვლენამ. დღეს კოვნაში ყველასი, დიდისა და პატარის, წარჩინებულისა და უბრალო მუშის სალაპარაკოდ გამხდარა რომის კათოლიკეთა წმ. ჯვრის ეკკლესიის ქსენძი (მღვდელი) ალექსანდრე ბელიაკევიჩი და იმის მიერ ჩადენილი საქმეები. დიდი ხანია ქალაქში ხმები დადიოდა, რომ ხსენებულ ეკკლესიის ქვეშ დიდი საიდუმლო სარდაფებია გამართული, სადაც ქსენძი ბელიაკევიჩი ამწყვდევს და აწვალებს თავისის მრევლის იმ წევრთ, რომელნიც რუსებსა და მართლ-მადიდებელთ უახლოვდებიან და რაიმე საქმეს იჭერენ იმათთანაო. როგორც პოლიციამ აღმოაჩინა, ეს ხმები მართალი გამოდგა. ბელიაკევიჩი ისე ექცეოდა თურმე სარდაფში დამწყვდეულთ, როგორც საშუალო საუკუნოების ინკვიზიტორები ექცეოდნენ თავიანთს მსხვერპლებს. სარდაფში შენახული ჰქონია სხვა-და-სხვა იარაღი, თოკები, რომლითაც იგი აწვალებდა თურმე საწყლებს. ბნელი სარდაფები კუბოებითა და კაცის ძვლებით ყოფილა სავსე, ასე რომ მარტო იქ შესვლაც-კი კაცს შიშის ზარს დასცემს.

როგორც უკვე ვთქვათ, ამის შესახებ ხმები კარგა ხანია დადიოდა, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევდა. არავის არა სჯეროდა, რომ განათლებულს ქალაქში განათლებულს კაცს ასეთი საინკვიზიტორო საქმეები ჩაედინა. მაგრამ აი, 17 აგვისტოს ხმა სინამდვილედ გადაიქცა. ამ დღეს პოლიციის მოხელე ავდეევთან მივიდა დაგლეჯილ-დაფლეთილ ტანისამოსით, ნაცემი და შეშინებული ქალი ევა ბერნატოვიჩი და გამოუცხადა: 15 აგვისტოს ჩემს ბინაზე მოვიდა ქსენძი ბელიაკევიჩი ორის მოსამსახურით, ძალით ჩამსვა ეტლში და წმ. ჯვრის ეკკლესიაში წამიყვანა. იქ საკურთხეველში საიდუმლო კარი გააღო და ბნელს, ნოტიო სარდაფში შემაგდო. ცოტა ხნის უკან თვით ქსენძიც მოვიდა, რაღაც ჯოხები და თოკები მოიტანა და იმითი დამიწყო ცემა და წვალება. იქამდის მცემა, ვიდრე გული შემიღონდებოდა. როდესაც გონს მოვედი, ბელიაკევიჩმა ხელ-ახლად დამიწყო ცემა. ასეთ წვალებაში ორი დღე და ღამე ვიყავი. სარდაფი სავსე იყო კუბოებითა და კაცის ძვლებით. ხანდახან ელვასავით რაღაც გაანათებდა სარდაფს, უცბად ცეცხლის-მფრქვევი „ეშმაკი" გამოჩნდებოდა და წევა-გრეხვას დამიწყებდა ხოლმე. საკვებად ქსენძმა ერთი გამხმარი ნატეხი პურისა და ერთი ჭიქა წყალი მომცა. ქსენძი ასე იმიტომ მაწვალებდა, რომ ბინა მივეცი გლეხის ქალს ჟუკოვსკაიას, რომელიც რუსთან სცხოვრობდა. ბოლოს, 17 აგვისტოს, დასუსტებული, დასიებული და ღონე გამოლეული ამომიყვანეს სარდაფიდან და განმათავისუფლეს. ჩემს მაგიერ ბელიაკევიჩმა ჟუკოვსკაია წაიყვანა, რომელიც უთუოდ ეხლაც დამწყვდეულია სარდაფშიო.

„ეს ამბავი იმ დღესვე ბოქაულს, პოლიცმეისტერს და ბრალმდებელს აცნობეს. საღამოს 11 საათზე სამივენი ბელიაკევიჩთან წავიდნენ და მოსთხოვეს ეჩვენებინა ის სარდაფი, სადაც ჟუკოვსკაია ჰყავს დამწყვდეული. ამ სტუმრობამ ბელიაკევიჩი ძალიან შეაშინა. პირველად უარზე დადგა, მაგრამ შემდეგ განაცხადა, რომ ჟუკოვსკაია სარდაფში ჯერ არ დამიმწყვდევია, ამ ჟამად ის ერთ ქოხშიაო. მოხელენი მაშინვე წავიდნენ ამ ქოხში რომელიც ახლად გარდაცვალებულთა დასასვენებელი აღმოჩნდა, და საწყალი ქალი განათავისუფლეს. გამოკითხვის დროს ჟუკოვსკაიამ განაცხადა, რომ ქსენძი მათრახითა და ჯოხებით მცემდა, სარდაფში მიპირობდა დამწყვდევას, მაგრამ ამ დროს თქვენც მოხველითო. ამასთან, როგორც ბერნატოვიჩმა, აგრეთვე ჟუკოვსკაიამ, განაცხადეს, რომ ბელიაკევიჩმა მარტო ჩვენ არ გვაწვალა, ჩვენისთანა დღე წინად ბევრმა სხვამაც გამოიარა. ისე არ გავიდოდა დღე, რომ ბელიაკევიჩს ან ქალი, ან კაცი არა ჰყოლოდა დამწყვდეულიო.

„მეორე დღეს ქსენძი ბელიაკევიჩი დააპატიმრეს. იმავე დღეს ბრალმდებელმა, პოლიციის მოხელეებმა და მოწ-

ვეულმა ექსპერტებმა დაათვალიერეს ის საიდუმლო სარდაფი, სადაც ქსენძი ხალხს ამწყვდევდა. თუმცა ზოგიერთის იარაღის დამალვა უკვე მოასწრეს, მაგრამ რაც იყო, იმანაც გაკვირვებაში მოიყვანა მნახველნი. სარდაფი მეტად ბნელი და ნოტიო იყო. აქა-იქ მრავლად ეყარა კუბოები და კაცის ძვლები. იქავე იდგა „ეშმაკი“, რომელიც შიშის ზარსა სცემდა დამწყვდეულთ. ეს „ეშმაკი“ კაცის ჩონჩხი აღმოჩნდა, რომელსაც თავი ხისა ჰქონდა გაკეთებული დიდის რქებითა და ყურებით. ამბობენ, რომ ხანდახან სარდაფში „ანგელოზებიც“ გაჩნდებოდნენ ხოლმეო, მაგრამ ეს „ანგელოზები“ ვერსად იპოვნეს.

„ქსენძის დაპატიმრების ამბავმა მთელი აღიაქოთი და აურ-ზაური გამოიწვია კათოლიკეთა შორის. განსაკუთრებით აღელვებულნი იყვნენ რუსების წინააღმდეგ ქალები. როდესაც პოლიცია და ბრალმდებელი სარდაფს ათვალიერებდნენ, ეკლესიასთან აურებელმა ხალხმა მოიყარა თავი. ჯარმა ძლივს შეიკავა ბრბო. ხალხი გაიძახოდა, რომ ტყუილად დაპატიმრეს ქსენძი, იგი სარწმუნოებისათვის ტანჯულიაო და სხვა. ხალხმა ისიც-კი მოიწადინა, რომ პოლიციისთვის ქვები დაეშინა. ბევრმა ქსენძის დაპატიმრების გამო სამგლოვიარო ტანისამოსი ჩაიცვა. იმ მოსამსახურეებმა, რომელნიც რუსებთან იყვნენ, სამსახურს თავი დაანებეს“.

ამ საქმის გამო გამოძიება უკვე დაუწყიათ.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

27 სექტემბერი

**კოპენჰაგენი.** 26 სექტემბერს მათი იმპერატორებითი უდიდებულესობა მიბრძანდა გემით „Полярная Звѣзда“-თი, აქ მათ უდიდებულესობას დაუხვდნენ მეფე ხელმწიფე იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული, საბერძნეთის მეფე-დედოფალი, ჰერცოგი კუმბერლანდიისა მეუღლითურთ, პრინცესა ველიისა და მეფის ოჯახობა.

**რომი.** მთავრობა გააგზავნის კრიტზე კიდევ ერთ ბატალიონ ქვეით ჯარს და ორ გემს.

**შანჰაი.** ქალაქ ხანკოუს ჩინეთის ნაწილში 19 სექტემბერს ცეცხლი გაჩნდა, რომელმაც გაანადგურა ათი-ათასი სახლი. დაიღუპა ათასი მცხოვრები. ცეცხლი მოდებულია ორ რთხ-კუთხ ინგლისურ მილზე.

**რომი.** ანარქისტთა წინააღმდეგ მისაღებ ზომების შესამუშავებელი კონფერენცია რომში და არა ჟენევაში.

**იოკაჰამა.** იაპონია აგზავნის ჩინეთის წყლებში თავის ქვეშევრდომთა დასაცველად ორ კრეისერს.

**პარიზი.** გაფიცული მიწის მთხრელები არ თანხმდებიან მოიჯარადრეთა წინადადებაზე. აურებელი ხალხი ნაშუადღევს გაემართა მუშათა ბირჟისაკენ მუშაობის შესაწყვეტად. პოლიციამ ვერ დააწყნარა ხალხი და მოიწვია ჯარი, რომელმაც მოითხოვა ხალხის გაფანტვა. ხალხი დაემორჩილა.

**პარიზი.** 27 სექტემბერს, დილით, რამოდენიმედ განახლდა მუშაობა მარსოვის მინდორზე, ელისეის მინდვრებზე და სხვა ადგილებში.

**პეკინი.** ელჩებმა განუცხადეს ცუნგ-ლი-იამენს, მოველით ყოველ-გვარ დახმარებას ჯარის წასაყვანადაო და მოითხოვეს საგანგებო მატარებლები. 30 „კაზაკი“, 36 რუჩეთის მატროსი ორი იარაღით, 25 ბრიტანიის მატროსი და 30 გერმანიის ჯარის კაცი მოვიდა აქ და შემოვიდა ქალაქში. მოგროვდა აურებელი ხალხი, მაგრამ არაფერი ამბავი მომხდარა. ჩინელები, როგორც ეტყობათ, შეშინებულან.

**სტამბოლი.** ია ნოტის გადაცემის დროს, რომელიც კრიტს შეეხება, ინგლისმა განაცხადა, რომ მიხვეულ-მოხვეული პასუხთან დაუთანხმებლობა ოსმალეთის ჯარის გაყვანაზე უარად ჩაითვლებაო.

**პარიზი.** „Figaro“ გვარწმუნებს, მთავრობამ დაუგზავნა ყველა ჟანდარმთა უფროსებს ცირკულიარი, ახსენებს მათ იმ კანონს, რომლის ძალითაც ორლეანის ჰერცოგი გაძევებულია საფრანგეთიდან, და სწერს შეიპყარით იგი თუ მაზღვარზე გადასვლა გინიზრახოსო.

**ოგაიო.** ქ-ნის მაკ-კინლეის ძმა, ჯორჯ საქსტონი, ქუჩაზე მოკლეს. მკვლელობა დააბრალეს ერთ ქალს, რომელიც შეიპყრეს.


# განცხადებანი

იბეჭდება და მალე გამოვა

გასაყიდად

იმერული სცენები, კოტე მესხისა ჯუზეპე გარიბალდი, ბიოგრაფია უკანასკნელი მთავარი სვანეთისა ახუნდი, პოემა ვაჟაფშაველასი ნარა, მოთხრ. ჩოხატაურელისა საქვეყნო სიზმარი, ამბავი დ. მაჩხანელისა. (30 11)

გამოვიდა და ისყიდება, ქალაქის ყველა მაღაზიებში და ეკლესიებშიაც, ცხოვრება წმ. ქალწულ მოწამისა

**მარინესი**

(სურათით)

გამოცემა მორჩილის რ. ბარამიძისა

**ფასი ერთი შაური** (10—10)

ახლად გახსნილი

**სტამბა**

**„ცნობის ფურცლისა“**

ტფილისი, სასახლის ქ., სათავად-აზნაურო ქარვასლაში №№ 119 120 და 121

სტამბა ყოველისფრით სავსე და მოწყობილია

ყოველგვარი საქმე სრულდება სწრაფად. სუფთად და იაფად. სტამბა ასრულებს აგრეთვე პროვინციის მცხოვრებთა შეკვეთას, მსურველნი მიჰმართავენ სტამბას, რომელიც კისრულობს ხელ-ნაწერების აწყობას, დაბეჭდვას, ქაღალდის ყიდვას, კორექტურას, ენის შესწორებას, საცენზუროდან ნება-რთვის აღებას და სხ.

ჰბეჭდავს სავიზიტო ბარათებს სხვა-და-სხვა გვარ ქაღალდზე ვაჟებისა და ქალებისათვის იაფად და შნოიანად.

**ВОВНОВЬ ОТКРЫТОЙ**

**ТИПОГРАФІИ**

**„Цнобисъ Пурцели“**

В. Л. ГУНІА

Тифлисъ, Дворц. ул., д. Грузинскаго Дворянства.

Исполняются всевозможные заказы на всѣхъ Туземныхъ и Европейскихъ языкахъ

**Дешевизна, изящество и быстрота исполненія**

**КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,**

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) **Бухгалтеріи** двойной итальянской по разнымъ отраслямъ тортовой промышленности,
2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи),
3) **Ариѳметики на счетахъ.**
4) **Коммерческой экономіи.**
5) **Торговыхъ и вексельныхъ** узаконеній.

препомдаетъ **И. Я. БРОНЪ ФОНЪ-БРЕННЕРЪ, гл. бухгалтеръ общ. взаимн. сел. хоз. кредита и препод. школы садоводства.**

**Плата за весь курсъ 60 руб.**

**Курсъ 3-мѣсячный**, при ежедневныхъ занятіяхъ въ теченіе 2-хъ часовъ, по вечерамъ. Начало занятій—1-е число каждаго мѣсяца.

**Аттестаты за успѣшныя занятія отъ реальнаго училища и школы садоводства.**

Составленная И. Я. Бронъ фонъ-Бреннеръ книга «Коммерческая ариѳметика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счетахъ. 2) монетныя вычисленія, 3) товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) торговыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (520 задачъ и таблицы). Цѣна 2 руб. **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ и у автора: Михайловская ул., № 71, и Барятинская, сельско-хоз. банкъ.**

(100—49)

**Изданіе газеты «Казбекъ»,**

пріостоновленное распоряж. г. Министра Внутр. дѣлъ, на 8 мѣсяцевъ

возобновляется со **2**-го сентября 1898 г.

**Принимается подписка**

на общественную, политическую и литературную газету

**„КАЗБЕКЪ“**

**Условія подписки:**

Съ доставкою во Владикавказѣ на одинъ годъ . . . 6 руб.
Съ пересылкою иногороднимъ » » » . . . . 7 руб.
Съ сентября по 31 декабря 1898 г. какъ городскимъ, такъ и иногороднимъ подписчикамъ **два** рубля.

**Плата за объявленія:**

На 1-й страницѣ за 1 разъ 20 к. послѣдующіе разы 10 к. ) со строки
На 4-й » „ 1 » 10 к. „ » 5 к. ) петита

Отдѣльный нумеръ 5 коп.

Подписываться можно съ 1-го числа каждаго мѣсяца и до конца года. Подписка и объявленія принимаются во Владикавказѣ, въ конторѣ газ. «Казбекъ» у издателя С. І. Казарова. (12—12)